განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სოციალური მუშაობის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 2020 წლის 3 აპრილი

დასკვნის წარდგენის თარიღი: 2020 წლის 29 მაისი

თბილისი
2020

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204861970
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სოციალური მუშაობა
განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	სოციალური მუშაობის დოქტორი 0923
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	60 კრედიტი (სასწავლო კომპონენტი)
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	ახალი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	იაგო კაჭკაჭიშვილი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო შატბერაშვილი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ჯინა შოგირაძე, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სოციალური მუშაობის სადოქტორო პროგრამას საფუძველი ჩაეყარა 2013 წელს, როდესაც ის იყო ინტერდისციპლინური სადოქტორო პროგრამის ნაწილი. როგორც თვითშეფასების დოკუმენტშია აღნიშნული, სოციალური მუშაობის მიმართულებით უნივერსიტეტის გავლენის გაზრდის მიზნით, დაიგეგმა სოციალურ მუშაობაში დამოუკიდებელი სადოქტორო პროგრამის შემუშავება და განხორციელება. სოციალური მუშაობის სადოქტორო პროგრამის მიზანია, მოამზადოს სოციალური მუშაობის სპეციალიზაციით მკვლევრები, რომლებიც ინტეგრირდებიან აკადემიურ სივრცეში და შეძლებენ სოციალური მუშაობის დისციპლინის ჰოლისტური, სისტემური ხედვიდან გამომდინარე, საზოგადოების, სპეციფიკური ჯგუფების და ინდივიდების საჭიროებებზე მორგებული, უახლეს მეთოდოლოგიებზე დამყარებული კვლევების საფუძველზე ახალი ცოდნის შექმნას და მის ადვოკატირებას.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ სადოქტორო პროგრამას გააჩნია ძლიერი - ინტერნაციონალიზაციის - კომპონენტი, ის შემუშავებულია დარგში წამყვანი უნივერსიტეტების (კოლუმბიის უნივერსიტეტი, ნიუ იორკის უნივერსიტეტი) გამოცდილების გაზიარებით და ამერიკის სოციალური მუშაობის სადოქტორო პროგრამების სტანდარტის გათვალისწინებით. პროგრამას ჰყავს სამი საერთაშორისო კონსულტანტი.

პროგრამის ხანგრძლივობა 3-5 წელია, სწავლების ენა ქართულია, მისანიჭებელი ხარისხია „სოციალური მუშაობის დოქტორი“, საკრედიტო მოცულობაა 60 კრედიტი. პროგამა შედგება სავალდებულო კურსებისგან (48 კრედიტი), სავალდებულო-არჩევითი კურსებისგან (6 კრედიტი) და არჩევითი კურსებისგან (6 კრედიტი).

პროგრამის განხოციელებას ემსახურება 9 აკადემიური და სამეცნიერო პერსონალი (მათ შორის, 5 პროფესორი, 2 ასოცირებული პროფესორი და 2 ასისტენტ-პროფესორი). თითოეული მათგანის კვალიფიკაცია რელევანტურია სოციალური მუშაობის დარგისთვის.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის კომისიის ონლაინ ვიზიტი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში შედგა 2020 წლის 3 აპრილს. გაწერილი დღის წესრიგის მიხედვით, გასაუბრება შედგა შემდეგ ჯგუფებთან/ადამიანებთან:

- ✓ ილიას უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ადმინისტრაცია
- ✓ პროგრამის თვითშეფასების ჯგუფი
- ✓ დაწესებულების/ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელები
- ✓ პროგრამის ხელმძღვანელი
- ✓ პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი

- ✓ პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტები
- ✓ სხვა სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულები
- ✓ დამსაქმებლები.

გარდა ამისა, დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით მოხდა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა, კაბინეტები, აუდიტორიები და სხვ.) დათვალიერება, რომელიც მოემსახურება სადოქტორო პროგრამის ფუნქციონირებას.

დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება გაგრძელდა 10.00-დან 19.00 საათამდე.

ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ პროგრამის შეფასებამ ჩაიარა კონსტრუქციულ გარემოში; რესპონდენტები იყვნენ ინფორმატიულები, მომზადებულები და გულწრფელები, რამაც კომისიას მისცა ადეკვატური/ობიექტური შეფასებების გაკეთების შესაძლებლობა.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

აკრედიტაციის ხუთი სტანდარტის მიხედვით, სოციალური მუშაობის სადოქტორო პროგრამამ ასეთი შედეგი აჩვენა:

- საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - პროგრამა შესაბამისობაშია ამ სტანდარტის მოთხოვნებთან;
- სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - პროგრამა მეტწილად შესაბამისობაშია ამ სტანდარტის მოთხოვნებთან;
- სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - პროგრამა შესაბამისობაშია ამ სტანდარტის მოთხოვნებთან;
- სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - პროგრამა შესაბამისობაშია ამ სტანდარტის მოთხოვნებთან;
- სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - პროგრამა შესაბამისობაშია ამ სტანდარტის მოთხოვნებთან.

სადოქტორო პროგრამა მეტ-ნაკლებად პრობლემური აღმოჩნდა მეორე სტანდარტის (სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება) 2.1, 2.2. და 2.3. კომპონენტებთან მიმართებით (2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები; 2.2. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი და 2.3. სასწავლო კურსი). კერძოდ, შენიშვნები გამოითქვა პროგრამაზე მიღების პირობების არასაკმარისი გამჭვირვალობის, სასწავლო პროგრამაში კურსების შინაარსობრივი გადაფარვის, სადოქტორო სემინარებისა და კოლოქვიუმების რამდენადმე ბუნდოვანი ურთიერთმიმართების, სავალდებულო-არჩევითი და არჩევითი კურსების არასაკმარისობის და ა.შ. მიმართულებით.

- **რეკომენდაციები**

კომისიას პროგრამის მიმართ აქვს ორი რეკომენდაცია:

1. სოციალური მუშაობის სადოქორო პროგრამაში ჩაიწეროს მკაფიოდ, რომ ხუთწლიანი გამოცდილების ქონა სოცალური მუშაობის პრაქტიკის მიმართულებით არის სავალდებულო წინაპირობა სოციალური მუშაობის სადოქტორო პროგრამაში ჩარიცხვისთვის, როდესაც საქმე ეხება აპლიკანტებს, რომელთაც არ გააჩნიათ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი სოციალურ მუშაობაში. .

2. მიზანშეწონილია, რომ მოხდეს ზოგიერთი კურსის სილაბუსის რევიზია, რათა თავიდან იქნეს აცილებული სილაბუსებს შორის გადაფარვები და თითოეული კურსის ფარგლებში სტუდენტებმა მიიღონ ახალი ცოდნა. ეს ეხება შემდეგ კურსებს შორის მიმართებას: ა) სოციალური მუშაობის კვლევის მეთოდები (სავალდებულო); ბ) თვისებრივი კვლევის მეთოდები (სავალდებულო-არჩევითი) და გ) სტატისტიკური მოდელირება (სავალდებულო-არჩევითი). სვალდებულო-არჩევითმა კურსებმა არ უნდა გაიმეოროს ძირითადი მეთოდების (რაოდენობრივი და თვისებრივი) აღწერა, არამედ კიდევ უფრო მეტად უნდა ფოკუსირდეს მონაცემთა ანალიზის მეთოდების სიღრმისეულ შესწავლაზე.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

პროგრამის მიმართ ჩამოყალიბდა შემდეგი რჩევები:

1. საჭიროა კიდევ უფრო მკაფიოდ განისაზღვროს სადოქტორო სემინარებსა და კოლოქვიუმებს შორის არსებული საზღვრები და შესაბამისი კომპეტენციები (მაგალითად, ის, რომ ლიტერატურის მიმოხილვა არ არის სემინარების კომპეტენცია, არამედ, ეს კოლოქვიუმების ფარგლებში ხდება; სემინარებზე მხოლოდ ლიტერატურის ე.წ. „მეფინგი“ სრულდება და ა.შ.).

2. მნიშვნელოვანია, რომ სავალდებულო-არჩევითი კურსების ჩამონათვალს დაემატოს სოციალური თეორიების კურსი; ეს უკანასკნელი გააერთიანებს იმ კლასიკურ, თანამედროვე ან პოსტმოდერნულ თეორიებს, რომლებიც სოციალური მუშაობის სფეროსთვის რელევანტურია და დაეხმარება დოქტორანტებს, რათა კვლევის შედეგების ინტერპრეტაცია სხვადასხვა თეორიული პარადიგმის საფუძველზე განახორციელონ.

3. სასურველია, მეტი აკადემიური საათი დაეთმოს სხვადასხვა კურსის ფარგლებში, ან ცალკე კურსი განვითარდეს *სოციალური მუშაობის ეთიკისა და კვლევის* ეთიკის საკითხებზე.

4. სასურველია, შესაბამის კურსებში სესიათა რაოდენობა გაიზარდოს ან ცალკე კურსი მომზადდეს კვლევის შერეულ მეთოდებზე.

5. მიზანშეწონილია, რომ სავალდებულო-არჩევითი/არჩევითი კურსების სია გაფართოვდეს სხვა სასწავლო კურსებით, რომლებიც სოციალური მუშაობის დოქტორანტებს გაუფართოვებს სამეცნიერო თვალსაწიერს.

6. მიზანშეწონილია მკაფიოდ ითქვას, რომ სტუდენტებს შეეძლებათ ორივე სავალდებულო-არჩევითი კურსის (ა. თვისებრივი კვლევის მეთოდები და ბ. სტატისტიკური მოდელირება) არჩევა. პროგრამაში ეს წარმოდგენილია როგორც ერთმანეთის ალტერნატიული კურსები.

7. სადოქტორო პროგრამისსტუდენტების სადისერტაციო ნაშრომებში უფრო მეტად აისახოს კავშირი სოციალურ მუშაობასთან.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

სოციალური მუშაობის სადოქტორო პროგრამის საუკეთესო პრაქტიკას წარმოადგენს ის, რომ სემინარები და კოლოქვიუმები ერთმანეთის ალტერნატივას კი არ წარმოადგენს, არამედ სადისერტაციო თემაზე მუშაობის ერთი ჯაჭვის შემავსებელი რგოლებია. კერძოდ, სემინარების ფარგლებში დოქტორანტი ამზადებს კვლევის გაფართოებულ გეგმას (პროსპექტუსს), რომელსაც ეტაპობრივად ახორციელებს სადოქტორო კოლოქვიუების სახით (სადოქტორო პროგრამების დიზაინის გავრცელებული პრაქტიკის მიხედვით, სადოქტორო სემინარი არ ეხება სადისერტაციო თემას, არამედ უნდა შეეხოს სხვა პრობლემას).

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

არ შეესაბამება

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალური მუშაობის სადოქტორო პროგრამის მიზანია ახალი თაობის მკვლევარი სოციალური მუშაკების მომზადება, რომლებიც უახლეს მეთოდოლოგიებზე დაყრდნობით განხორციელებული კვლევების საფუძველზე შექმნიან ახალ ცოდნას, განავითარებენ სოციალური კეთილდღეობის პოლიტიკის და/ან სოციალური მუშაობის ახალ პრაქტიკას. ამასთან, პროგრამაში ასახულია საერთაშორისო ინტერნაციონალიზაციის საკითხები. ის შემუშავებულია საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის *საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესისა და პროცედურების*, დარგის საუკეთესო საერთაშორისო საუნივერსიტეტო გამოცდილებაზე დაყრდნობითა და ამერიკის სოციალური მუშაობის სადოქტორო პროგრამების სტანდარტის გათვალისწინებით (Quality Guidelines for PHD Programs in Social Work, Group for the Advancement of Doctoral Education in Social Work - GADE).

პროგრამის მიზანი ნათლად ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენაა ის მიმართული. ის ცხადყოფს რა წვლილის შეტანის პოტენცია აქვს კურსდამთავრებულს სოციალური მუშაობის პროფესიისა და საზოგადოების განვითარებაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სოციალური მუშაობის სადოქტორო პროგრამის სამიზნე ნიშნულები;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- უნივერსიტეტისა და პროგრამის მიზნების, ამოცანების, მისიისა და სტრატეგიის აღწერის დოკუმენტი;
- სოციალური მუშაობის სადოქტორო პროგრამა/კურიკულუმი;
- საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი;

- სოციალური მუშაობის სადოქტორო პროგრამის გზამკვლევი;
- ამერიკის სოციალური მუშაობის სადოქტორო პროგრამების სტანდარტი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

არ იკვეთება

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არ იკვეთება

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

არ იკვეთება

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

არ შეესაბამება

შეფასება

■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად აღწერს იმ ცოდნასა და უნარებს, რომლებიც სტუდენტმა უნდა შეიძინოს პროგრამის დასრულებისას. პროგრამის მიზნები ლოგიკურადაა დაკავშირებული სწავლის შედეგებთან, სწავლის შედეგები კი სრულად შეესაბამება სწავლის საფეხურის აღმწერებს.

პროგრამის გაუმჯობესებისთვის დაგეგმილია პროგრამის სწავლის შედეგების მუდმივი შეფასება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის *საგანმანათლებლო პროგრამების*

განხორციელების შეფასების წესის შესაბამისად. წესის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შიდა შეფასებისას გამოიყენება შემდეგი ინსტრუმენტები და მეთოდები: სტუდენტთა გამოკითხვა პროგრამით/პროგრამის კომპონენტებით კმაყოფილების შესახებ; კურსდამთავრებულთა გამოკითხვა პროგრამით კმაყოფილებისა და დასაქმების შესახებ; დამსაქმებლებისა და პარტნიორების ფოკუს ჯგუფი/ინტერვიუ/გამოკითხვა პროგრამისა და მისი კურსდამთავრებულების შესახებ.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა განვითარების ცენტრი (TSDC), რომელიც მხარს უჭერს პროგრამის ხელმძღვანელებსა და პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალს პროგრამის შედეგების შეფასებასა და ანალიზში.

პროგრამის განხორციელების შიდა მექანიზმების უზრუნველყოფის მიზნით, უნივერსიტეტი იყენებს სასწავლო პროცესის მართვის სისტემას - „არგუსი“. მის ბაზაზე შესაძლებელი ხდება ელექტრონული კითხვარების მიწოდება თითოეული სტუდენტისთვის, სტუდენტების აკადემიური მოსწრების მაჩვენებლების და სხვა შესაბამისი მონაცემების შეგროვების მიზნით. გამოკითხულმა სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა დიდი კმაყოფილება გამოთქვეს არგუსის მოხმარებისადმი.

წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამა სოციალური კეთილდღეობის პოლიტიკის ან სოციალური მუშაობის ახალი პრაქტიკის და ცოდნის განვითარებაზეა ორიენტირებული პრაქტიკისა და კვლევების შეჯერების საფუძველზე ინოვაციური მეთოდებით კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების გზით. კურიკულუმში წარმოდგენილ ყველა კურსს წვლილი შეაქვს ამ მიზნის შესაბამისი შედეგის მიღწევაში. ამასთან, სტუდენტებს აქვთ კვლევითი უნარ-ჩვევების განვითარების უნიკალური შესაძლებლობა საქართველოში სოციალური მუშაობის მიმართულებით დაარსებულ პირველ კვლევით ცენტრში - *სოციალური მომსახურებებისა და ინტერვენციების მეცნიერული განვითარების კვლევითი* ცენტრი. ცენტრი ახორციელებს ინოვაციურ ტრანსლაციურ კვლევას, იწვევს უცხოელ პროფესორებს დოქტორანტებისათვის სემინარებისა და კონსულტაციების ჩასატარებლად.

ცენტრში დოქტორანტებს კვლევითი საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობაც აქვთ სწავლის პროცესში. ეს პროგრამის ფასდაუდებელი კომპონენტია. მით უფრო იმის ფონზე, რომ კვლევის კომპონენტი სოციალურ მუშაობაში არ არის სასურველ დონეზე განვითარებული ქვეყანაში. არადა, სოციალურ მუშაკთა უმრავლესობას ყოველდღიურ საქმიანობაში შეხება აქვთ სოციალურ მოვლენებთან და სოციალური პრობლემების მქონე ადამიანებთან. მათ მიერ მოპოვებული მტკიცებულებების სოციალური კეთილდღეობის კონტექსტში ანალიზი კი მოემსახურებოდა კეთილდღეობის სისტემის გაუმჯობესებას, სოციალური პროგრამების ეფექტიანობის შეფასებასა და მომავალი სტრატეგიის ფორმირებას. შესაბამისად, კვლევის მიმართულებით სოციალური მუშაკების გაძლიერება ერთ-ერთი მთავარი პროფესიული ამოცანაა.

პროგრამა ხორციელდება ინტერდისციპლინური მუშაობის ფორმატში, რაც სწავლის შედეგის მიღწევისათვის მნიშვნელოვანი მსაზღვრელია. ზემოხსენებული კვლევითი ცენტრი აერთიანებს სხვადასხვა დისციპლინური მიმართულებების მკვლევრებს, მეცნიერებს, დოქტორანტებს, პრაქტიკოსებს ქვეყანაში სასიკეთო სოციალური ცვლილებების მიღწევის მიზნით.

დოქტორანტის ნაშრომის განხილვისას, კომისიას გაუჩნდა კითხვა ერთ-ერთი სადისერტაციო თემის სოციალური მუშაობის პროფესიასთან კავშირის თაობაზე. თემის მიზანი ამ მიმართებით ბუნდოვანია. პროგრამის ხელმძღვანელთან და დოქტორანტთან ინტერვიუმ ცხადყო ამ კავშირის არსებობისა და თემაში ამის უფრო ნათლად წარმოჩენის საჭიროება. მნიშვნელოვანია, თითოეული სადისერტაციო ნაშრომი შეესაბამებოდეს პროგრამის მიზანსა და შედეგებს და ეს მკაფიოდ იყოს ასახული ნაშრომში.

პროგრამის ფარგლებში მკაფიოდაა გაწერილი *კომპეტენციის რუკა,* რომელიც სწავლის შედეგებს აყალიბებს. მასში №2 შედეგად წარმოდგენილია *სოციალური მუშაობის კონტექსტში, სტიგმატიზირებულ და ძნელად ხელმისაწვდომ ჯგუფებთან მუშაობისა, პროფესიული ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა.* სილაბუსების მიმოხილვისას და ლექტორების ინტერვიუირებისას აღმოჩნდა, რომ პროფესიული ეთიკის საკითხების მიმოხილვა მცირე დოზითაა ჩაშენებულია სილაბუსში. სასურველია, მას მეტი საათი დაეთმოს სხვადასხვა კურსის ფარგლებში, ან ცალკე კურსი განვითარდეს. კომპეტენციათა რუკის №4 შედეგად სახელდება *სოციალური მუშაობის დარგში არსებული თეორიების, პრაქტიკის/პოლიტიკის და კვლევების შეჯერების საფუძველზე ახალი ცოდნის შექმნა ინოვაციური მეთოდებით კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების გზით*, კურსებში სოციალურ თეორიების მოცულობა კი ტოვებს სივრცეს შევსებისათვის. სასურველია, კურიკულუმი ან რომელიმე არსებული კურსი გამდიდრდეს სოციალურ თეორიების მომცველი კურსით/სესიით. ასევე, რადგან კვლევები სოციალურ მუშაობაში ძირითადად შერეული მეთოდით ხორციელდება, სასურველია შესაბამის კურსებში სესიათა რაოდენობა გაიზარდოს ან ცალკე კურსი მომზადდეს კვლევის შერეული მეთოდით განხორციელებაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის განხორციელების წესი;
- სოციალური მუშაობის სადოქტორო პროგრამა;
- პროგრამის მიზნები;
- პროგრამის სწავლის შედეგები;
- კომპეტენციათა რუკა;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები;
- საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების კრიტერიუმი;
- სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი;
- სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუმენტები/მეთოდები;
- სამიზნე ნიშნულები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

არ იკვეთება

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, მეტი აკადემიური საათი დაეთმოს სხვადასხვა კურსის ფარგლებში, ან ცალკე კურსი განვითარდეს *სოციალური მუშაობის ეთიკისა და კვლევის* ეთიკის საკითხებზე.
- სასურველია, კურიკულუმი ან რომელიმე არსებული კურსი გამდიდრდეს სოციალურ თეორიების მომცველი კურსით/სესიით.
- სასურველია, შესაბამის კურსებში სესიათა რაოდენობა გაიზარდოს ან ცალკე კურსი მომზადდეს კვლევის შერეულ მეთოდებზე.
- საჭიროა, სადისერტაციო ნაშრომების მიზანში ნათლად იყოს წარმოდგენილი კავშირი სოციალური მუშაობის სფეროს განვითარებასთან ე.ი. პროგრამის მიზანთან.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

არ იკვეთება

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

არ შეესაბამება

შეფასება

■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სოციალური მუშაობის სადოქტორი პროგრამაში გაწერილია პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, რომლებიც სხვადასხვა პირობას მოიცავს. ესენია: მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხის ქონა მომიჯნავე დისციპლინებში ან სოციალური სამუშაოს მიმართულებით ხუთწლიანი სამუშაოს გამოცდილება. როგორც სხვადასხვა დოკუმენტში ჩანაწერებიდან ირკვევა, ხუთწლიანი გამოცდილების ქონა სოციალური მუშაობის პრაქტიკის მიმართულებით არის ალტენატიული გამოცდილება პროგრამაზე მისაღებად. თუმცა, როგორც ინტერვიუს მსვლელობაში გაირკვა, აღნიშნული გამოცდილების ქონა სავალდებულოა მათთვის, ვისაც მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი არ მიუღია სოციალურ მუშაობაში. ამდეად, დაშვების ეს წინაპირობა არა უბრალოდ ერთ-ერთ ალტერნატივას, არამედ აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს აპლიკანტთა განსაზღვრული კატეგორიისათის. ეს მნიშვნელოვანი დეტალი საჭიროა ერთმნიშვნელოვნად გამოიკვეთოს სადოქტორო პროგრამის აღწერისას. სხვანაირად, რჩება შთაბეჭდილება, რომ აღნიშნული პრაქტიკული გამოცდილება არცერთ შემთხვევაში სავლდებულო არ არის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები მტკიცებულებებს წარმოადგენს სადოქტორო პროგრამის აღწერა, ასევე პროგრამის მესვეურებთან (პროგრამის ხელმძღვანელი, ხარისხის უზუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები) ჩატარებული ინტერვიუები.
რეკომენდაციები: სოციალური მუშაობის სადოქორო პროგრამაში ჩაიწეროს მკაფიოდ, რომ ხუთწლიანი გამოცდილების ქონა სოცალური მუშაობის პრაქტიკის მიმართულებით არის სავალდებულო წინაპირობა სოციალური მუშაობის სადოქტორო პროგრამაში ჩარიცხვისთვის, როდესაც საქმე ეხება აპლიკანტებს, რომელთაც არ გააჩნიათ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი სოციალურ მუშაობაში
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის რჩევები, მოცემული მიმართულებით, არ იკვეთება.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): არ არსებობს

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

არ შეესაბამება

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

■ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სოციალური მუშაობის სადოქტორო პროგრამა, არსებითად, შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების მეთოდოლოგიის გამოყენებით. რაც შეეხება შინაარსობრივ მხარეს, შეიძლება ითქვას, რომ პროგრამაში ჩართული სასწავლო კურსები უზრუნველყოფს იმ საგანამანთლებლო შედეგებზე გასვლას, რაც პროგრამითაა გათვალისწინებული.
კერძოდ, პროგრამა შედგება:

- სავალდებულო კურსებისგან (48 კრედიტი)
- სავალდებულო-არჩევითი კურსებისგან (6 კრედიტი)
- არჩევითი კურსებისგან (6 კრედიტი).

სავალდებულო საგნებში, ძირითადად, გაერთიანებულია სადოქტორო სემინარები და კოლოქვიუმები, სოციალური მუშაობის კვლევის მეთოდები (რაოდენობრივი და თვისებრივი), სოციალური მუშაობის თანამედროვე თეორიული მიდგომები და კვლევები და სხვ. სავალდებულო-არჩევითი საგნები სოციალური კვლევის მეთოდების გაძლიერებულ შესწავლას ეთმობა; რაც შეეხება არჩევით საგნებს, ისინი მოიცავს ნებისმიერ კურსს/სემინარს მომიჯნავე სადოქტორო პროგრამიდან ან ასისტირებას.

უნდა აღინიშნოს, რომ სპეციალობის სავალდებულო და სავალდებულო-არჩევით საგნებს უმეტეს შემთხვევში კითხულობენ შესაბამისი დარგის (სოციალური მუშაობს, ფსიქოლოგია, სხვა სოციალური მეცნიერებები) დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მქონე სპეციალისტები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

მტკიცებულებებს/ინდიკატორებს, მოცემულ შემთხვევაში, წარმოადგენს სადოქტორო პროგრამის აღწერა, თვითშეფასების ანგარიში, პროგრამაში ჩართული პედაგოგების ბიოგრაფიები და პროგრამის მესვეურებთან (პროგრამის ხელმძღვანელი, ხარისხის უზუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები) ჩატარებული ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

რეკომენდაციები, მოცემული მიმართულებით, არ იკვეთება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

პროგრამის მიმართ ჩამოყალიბდა შემდეგი რჩევები:

- მიუხედავადმიმართ ჩამოყალიბდა შემდეგი რჩევები:ვკოლოქვიუმები ოლოქვტორო თემაზე მუშაობის ერთიანი ჯაჭვის რგოლებიატორო თემაზე მუშაობის ერთიანი ჯაჭვის რგ:ვიუები.მის მესვეურებთროვე თეორიული მიდგომები და კვლევები და სხვ. სავალდებულო-არჩევითი საგნები სოციალური კვლევის მეთოდების გაძლიერებულ შესწავლას ეთმობა; რაც შეეხება არჩევითკოლოქვიუმების ოლოქვიუმებისმაზე მუშაობის ერთიანი ჯაჭვის რგ:ვიუეეოლ. „მეფინგი“ ფინგიუმებისმა ფ. ფინგიუმებისმაზე მუშაობის ერთიანი ჯაჭვის რგ:ვიუები.მის მესვეურებთრო
- მნიშვნელოვანიააზე მუშაობის ერთიანი ჯაჭვის რგ:ვიუები.მის მესვეურებმატოსნელოვანიაზე მუშაობის ერსი; ტოსნელოვანიააზე მუშაობის ერსიანი ჯაჭვის რგ:ვიუები.მის მესვეურებთროვე თეორიული მიდგომები და კვლევები და სხვ. სავალდებულო-არჩევითი საგნები სოციალური კვლევის მეთოდების გაძლიერებულ შესწავლას ეთმოაციაიტოსნელოვანიააზე მუშაობის ერსია საფუძველზეანიააზე მუშაობი
- მიზანშეწონილია, ზანშეწონილიააზე მუშაობის ერსიანი ჯაჭვის რგ:ვიუები.მის მესვეურებთროვე თეორიული მიდგომები და კვლევები და სხვ. სავალდებულო-არჩეგაუფართოვებს აუფართოვებსიააზე მუშაობ
- მიზანშეწონილია იზანშეწონილიააზე მუშსტდენტებს ტდენტებსნილიააზე მუშაობის ე-არჩევითი კურსის (ატდენტებსნილიააზე მუშაობის ე-არჩევითი კურსის (იუები.მის მესვეურებთროვე თეორიული მიდგომები და კვლევები და სხვ. სავალდალტერნატიური ლტერნატიურიიააზე მუშაობის ე-არჩევითი კურსის (იუები.მის მესვეურებთროვე თეორიული მიდგომები და კვლევები და სხვ. რადგან თვისებრივი კვლევის მეთოდები შეიძლება ლტერნატიურიიააზე მუშაობის ე-არჩევითი კურსკლასტერიდან.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

სოციალური მუშაობის სადოქტორო პროგრამის საუკეთესო პრაქტიკას წარმოადგენს ის, რომ სემინარები და კოლოქვიუმები ერთმანეთის ალტერნატივას კი არ წარმოადგენს, არამედ სადისერტაციო თემაზე მუშაობის ერთი ჯაჭვის შემავსებელი რგოლებია. კერძოდ, სემინარების ფარგლებში დოქტორანტი ამზადებს კვლევის გაფართოებულ გეგმას

(პროსპექტუსს), რომელსაც ეტაპობრივად ახორციელებს სადოქტორო კოლოქვიუმების სახით (სადოქტორო პროგრამების დიზაინის გავრცელებული პრაქტიკის მიხედვით, სადოქტორო სემინარი არ ეხება სადისერტაციო თემას, არამედ უნდა შეეხოს სხვა პრობლემას).

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

არ შეესაბამება

შეფასება

- ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სოციალური მუშაობის სადოქტორო პროგრამის სასწავლო კურსები (სავალდებულო, სავალდებულო-არჩევითი და არჩევითი), ძირითადად, შეესაბამება პროგრამის მიზანს და სწავლის შედეგებს. კურსების საკრედიტო მოცულობა, არსებითად, უზრუნველყოფს თითოეული კურსით გათვალისწინებული თემების დაუფლებას. სილაბუსებში გაწერილი ლიტერატურა, ძირითადად, პასუხობს სილაბუსით გაწერილ თემებს და აცნობს სტუდენტებს მოცემული დარგის თანამედროვე მიღწევებს.

მიუხედავად ამისა, სასწავლო კურსების სიღრმისეულმა ანალიზმა აჩვენა, რომ არსებობს გარკვეული, არამიზანშეწონილი გადაფარვები სასწავლო კურსებს შორის. კერძოდ, ეს ეხება შემდეგ კურსებ: ა) სოციალური მუშაობის კვლევის მეთოდები (სავალდებულო); ბ) თვისებრივი კვლევის მეთოდები (სავალდებულო-არჩევითი) და გ) სტატისტიკური მოდელირება (სავალდებულო-არჩევითი). უფრო კონკრეტულად: სავალდებულო-არჩევითი კურსები იმეორებს სოციალური კვლევის ძირითადი მეთოდების (რაოდენობრივი და თვისებრივი) აღწერას, რაც უკვე მოცემულია სოციალური მუშაობის კვლევის მეთოდების სავალდებულო კურსში. ამდენად, სავალდებულო და სავალდებულო-არჩევითი კურსების კვლევის მეთოდებში რამდენადმე კარგავს ურთიერთშემავსებელი

კურსების ფუნქციას. არადა, მათ შორის მიმართება სწორედ ასეთი უნდა იყოს, რასაც ეთანხმებიან როგორც პროგრამის ხელმძღვანელი, ისე ზემოაღნიშნული კურსების ავტორებიც.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

მტკიცებულებებს/ინდიკატორებს, მოცემულ შემთხვევაში, წარმოადგენს სადოქტორო პროგრამის აღწერა, თვითშეფასების ანგარიში და პროგრამის მესვეურებთან (პროგრამის ხელმძღვანელი, ხარისხის უზუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები) ჩატარებული ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

მიზანშეწონილია, რომ მოხდეს ზოგიერთი კურსის სილაბუსის რევიზია, რათა თავიდან იქნეს აცილებული სილაბუსებს შორის გადაფარვები და თითოეული კურსის ფარგლებში სტუდენტებმა მიიღონ ახალი ცოდნა. ეს ეხება შემდეგ კურსებს შორის მიმართებას: ა) სოციალური მუშაობის კვლევის მეთოდები (სავალდებულო); ბ) თვისებრივი კვლევის მეთოდები (სავალდებულო-არჩევითი) და გ) სტატისტიკური მოდელირება (სავალდებულო-არჩევითი). სავალდებულო-არჩევითმა კურსებმა არ უნდა გაიმეოროს ძირითადი მეთოდების (რაოდენობრივი და თვისებრივი) აღწერა, არამედ კიდევ უფრო მეტად უნდა ფოკუსირდეს მონაცემთა ანალიზის მეთოდების სიღრმისეულ შესწავლაზე.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

რჩევები, მოცემული მიმართულებით, არ იკვეთება.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

არ იკვეთება.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

არ შეესაბამება

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

■ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სოციალური მუშაობის სადოქტორო პროგრამა უზრუნველყოფს სამეცნიერო-კვლევითი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას, რომლებიც აუცილებელია ემპირიული კვლევების ჩასატარებლად. სოციალური მუშაობა, უპირატესად, გამოყენებითი მეცნიერებაა, რომელიც მოითხოვს ემპირიული კვლევის მეთოდების ცოდნას და მათ კვლევაში გამოყენებას. ამ მიმართულებით, პროგრამა მოიცავს შემდეგ სავალდებულო კურსებს:

- სოციალური მუშაობის კვლევის მეთოდები
- თვისებრივი კვლევის მეთოდები
- სტატისტიკური მოდელირება.

აღნიშნული კურსების საკრედიტო მოცულობა სავსებით საკმარისია ემპირიული სოციალური კვლევის ადეკვატური უნარ-ჩვევების გაღრმავებისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

მტკიცებულებებს/ინდიკატორებს, მოცემულ შემთხვევაში, წარმოადგენს სადოქტორო პროგრამის აღწერა, თვითშეფასების ანგარიში და პროგრამის მესვეურებთან (პროგრამის ხელმძღვანელი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები) ჩატარებული ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

რეკომენდაციები, მოცემული მიმართულებით, არ იკვეთება

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

კომისიის რჩევაა, რომ სადოქტორო პროგრამის სტუდენტების სადისერტაციო ნაშრომებში უფრო მეტად აისახოს კავშირი სოციალურ მუშაობასთან.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

არ იკვეთება

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

არ იკვეთება

შეფასება

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სოციალური მუშაობის სადოქტორო პროგრამა იყენებს სწავლა-სწავლების სხვადასხვა მეთოდს, როგორებიცაა: ლექცია, სემინარი, პრაქტიკული/საველე მუშაობა, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, ანალიზისა და სინთეზის მეთოდი, ინდუქცია და დედუქცია, სუპერვიზია, დისკუსია, შემთხვევის ანალიზი და სხვ. ამ მეთოდების გამოყენება უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

მტკიცებულებებს/ინდიკატორებს, მოცემულ შემთხვევაში, წარმოადგენს სადოქტორო პროგრამის აღწერა, თვითშეფასების ანგარიში და პროგრამის მესვეურებთან (პროგრამის ხელმძღვანელი, ხარისხის უზუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები) ჩატარებული ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

რეკომენდაციები, მოცემული მიმართულებით, არ იკვეთება

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

რჩევები, მოცემული მიმართულებით, არ იკვეთება

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

არ იკვეთება

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

არ შეესაბამება

შეფასება

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სოციაური მუშაობის სადოქტორო პროგრამის სტუდენტთა შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სახელდობრ, სტუდენტების შეფასება ხდება ორ კომპონენტის მიხედვით: სასწავლო კომპონენტისა და შესრულებული სადისერტაციო ნაშრომის დონის მიხედვით:

ა) სასწავლო კომპონენტის შეფასება მიმდინარეობს 100 ქულიანი სისტემით:
შეფასების სისტემა, სტანდარტულად, უშვებს ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას, რომლებიც რანჟირებს 51-დან 100 ქულის ჩათვლით : (A, B, C, D და E და ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას (FX და F), რომელიც რანჟირებს 0-50 ქულების შუალედში.

ბ) სადისერტაციო ნაშრომის მაღალი სტანდარტის უზრუნველსაყოფად, გათვალისწინებულია ნაშრომის ეტაპობრივი და თანმიმდევრული წარდგენა, რაც გულისხმობს კვლევითი პროცესების სისტემატიზაციას, სემინარებისა და კოლოქვიუმების სახით. ამასთანავე, დაცვის წინა ეტაპზე მოქმედებს მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს დაცვისთვის შესაბამისი სტანდარტის სადოქტორო ნაშრომის წარდგენას. ასევე, მოითხოვება ნაშრომთან შესაბამისი საერთაშორისო პუბლიკაციის წარდგენა, რომელიც ინდექსირებული უნდა იყოს უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული საერთაშორისო პერიოდული გამოცემების ნუსხებში.

გ) სადისერტაციო ნაშრომის დაცვის შეფასება მიმდინარეობს შემდეგი სისტემით:
ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი;
ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;
გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;
დ) საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს;
ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;
ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო;
ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები მტკიცებულებებს/ინდიკატორებს, მოცემულ შემთხვევაში, წარმოადგენს სადოქტორო პროგრამის აღწერა, თვითშეფასების ანგარიში და პროგრამის მესვეურებთან (პროგრამის ხელმძღვანელი, ხარისხის უზუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები) ჩატარებული ინტერვიუები.
რეკომენდაციები: რეკომენდაციები, მოცემული მიმართულებით, არ იკვეთება
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის რჩევები, მოცემული მიმართულებით, არ იკვეთება
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): არ იკვეთება
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) არ შეესაბამება.
შეფასება ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტი სხვადასხვა მეთოდით უზრუნველყოფს დოქტორანტების ინფორმირებას სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მიღწევის გაუმჯობესების, დასაქმებისა და კარიერული განვითარების შესახებ.

სადოქტორო სემინარების, სადოქტორო კოლოქვიუმებისა და ასისტირების ფარგლებში დოქტორანტენი იღებენ მუდმივ უკუკავშირს ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის მხრიდან აკადემიურ საქმიანობასთან დაკავშირებით. შიდასაუნივერსიტეტო სისტემის ,,არგუსი'' გამოყენებით სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, გაიარონ ონლაინ კონსულტაცია ხელმძღვანელთან, ლექტორთან, ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტთან, კოორდინატორთან. ამავე სისტემის მეშვეობით სტუდენტები იღებენ ინფორმაციას აკადემიური მიღწევების შესახებ. სტუდენტებს რეგულარულად უტარდებათ ტრენინგი ელექტრონული სისტემის და რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებით.

თვითშეფასების ანგარიშისა და დოქტორანტთა გამოკითხვის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ გაცვლით პროგრამებში, ურთიერთობა ჰქონდეთ უცხოელ მკვლევარებთან და პროფესორებთან, რასაც საგარეო ურთიერთობების სამსახური უზრუნველყოფს.

განვითარების სამსახურისა და სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტის მხარდაჭერით, დოქტორანტებს შესაძლებლობა ეძლევათ, მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში. უნივერსიტეტი მათ სთავაზობს ფინანსურ მხარდაჭერას ან/და ეხმარება დაფინანსების წყაროების მოძიებაში. როგორც თვითშეფასების ანგარიშიდან და დოქტორანტთა გამოკითხვიდან ირკვევა, სტუდენტები რეგულარულად იღებენ ინფორმაციას პროექტების, ღონისძიებების, კონფერენციების, კვლევების შესახებ ელექტრონულ ფოსტაზე, ვებგვერდზე ,,არგუსი''.

უნივერსიტეტი მხარს უჭერს ახალგაზრდა მკვლევართა კარიერულ განვითარებას, რის ნათელ მაგალითსაც მის მიერ დაწესებული პასკალის პრემია წარმოაგდენს. პრემია გადაეცემა ახალგაზრდა მეცნიერს საერთაშორისო პუბლიკაციის გამოქვეყნებისთვის.

აკადემიური წერის უნარების განვითარების მიზნით, უნივერსიტეტში ფუნქციონირებს აკადემიური წერის ცენტრი, რომელიც საშუალებას აძლევს სტუდენტებს ინდივიდუალურად მიიღონ კონსულტაცია ტუტორისგან, ასევე გამოიყენონ ვებგვერდზე არსებული ონლაინ რესურსები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;

- ინტერვიუს შედეგები;
- ელექტრონული სისტემა ,,არგუსი'' www.argus.iliauni.edu.ge;
- აკადემიური წერის ცენტრი http://writingcentre.iliauni.edu.ge/;
- სილაბუსები და კონცეფციები.

რეკომენდაციები:

არ იკვეთება

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არ იკვეთება

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

არ იკვეთება

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

არ შეესაბამება

შეფასება

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დოქტორანტს აქვს შესაძლებლობა ჰყავდეს კვალიფიციური ხელმძღვანელი, რომელსაც მოპოვებული აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი, ფლობს სამეცნიერო-კვლევით გამოცდილებას, რომელიც შესაბამისობაშია დოქტორანტის საკვლევ თემასთან, იღებს მონაწილეობას სამეცნიერო კვლევებში და გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომები. ამასთან, დოქტორანტს შეუძლია, ჰყავდეს მოწვეული თანახელმძღვანელი, მათ შორის უცხო ქვეყნის აკადემიური დაწესებულებიდან.

სამეცნიერო ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობები გაწერილია მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებაში. სამეცნიერო ხელმძღვანელი რეგულარულად უწევს კონსულტაციას დოქტორანტს, აფასებს მის პროგრესს, აძლევს უკუკავშირს კვლევის ყველა ეტაპთან დაკავშირებით, მათ შორის: კვლევის დიზაინის შემუშავებაში და პროექტის მენეჯმენტში, სადისერტაციო ნაშრომის

წერის პროცესში, ადგილობრივ და სამეცნიერო ქსელში ინტეგრირების პროცესში, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობისა და შედეგების წარდგენის პროცესში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება; • დოქტორანტების ხელმძღვანელების პირადი საქმეები და კვლევები; • სადოქტორო პროგრამა; • თვითშეფასების ანგარიში • ინტერვიუ
რეკომენდაციები: არ იკვეთება
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არ იკვეთება
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): არ იკვეთება
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამას ხელმძღვანელობს დარგის ექსპერტი. შესაბამისად, ის უშუალოდაა ჩართული პროგრამის დაგეგმვაში, განხორციელებაში, შეფასება-განვითარებაში, სტუდენტების კონსულტირებასა და პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებში. პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციებს ზედმიწევნით განსაზღვრავს 2018 წელს მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის საბჭოს მიერ დამტკიცებული წესი *აკადემიური პროგრამების ხელმძღვანელებისა და სამუშაო ჯგუფების საქმიანობის* შესახებ.

პროგრამის განხორციელებაში ჩართულია სხვადასხვა კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალი. წარმოდგენილი სილაბუსებისა და ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი აკმაყოფილებს დაწესებულ კრიტერიუმს.

შესაბამისი ცოდნით არიან აღჭურვილნი დოქტორანტთა სამეცნიერო ხელმძღვანელებიც. მათ მიერ განხორციელებული სამეცნიერო კვლევები ან/და ნაშრომები შეესაბამება დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის თემატიკას. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელობის წესსა და ფორმატს განსაზღვრავს 2017 წელს დამტკიცებული *დებულება სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის შესახებ.*

აფილირებულ და მოწვეულ აკადემიურ პერსონალს შორის ბალანსი გარანტირებს პროგრამის მდგრადობას. დოქტორანტები უზრუნველყოფილნი არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აფილირებული/მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემა და ინდივიდუალური დატვირთვის მაჩვენებელი;
- აფილირებული/მოწვეული პერსონალისა და პროგრამაზე ჩარიცხულ დოქტორანტთა თანაფარდობა;
- ხელმძღვანელებისა და დოქტორანტების თანაფარდობა;
- წესი აკადემიური პროგრამების ხელმძღვანელებისა და სამუშაო ჯგუფების საქმიანობის შესახებ;
- დებულება სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის შესახებ;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

არ იკვეთება

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არ იკვეთება

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

არ იკვეთება

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

არ შეესაბამება

შეფასება

■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი სისტემატიურად მონაწილეობს საერთაშორისო პროექტებში, კვლევებსა და კონფერენციებში. უნივერსიტეტში დანერგილია სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობის ხელშემწყობი მექანიზმები აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების მონაწილეობისათვის საერთაშორისო სწავლებასა და კვლევებში, ერთობლივ პროგრამებს/პროექტებსა და კონფერენციებში.

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სასწავლო პროცესში ჩართული პერსონალის საქმიანობის შეფასების პროცედურა. სასწავლო პროცესში ჩართულთა საქმიანობა ფასდება *ა) აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასების წესისა და ბ) სასწავლო პროცესში ჩართული მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესის* შესაბამისად. წესის №4 მუხლი შეფასების ინსტრუმენტად ასახელებს სტუდენტთა გამოკითხვის კითხვარსა და სტუდენტების აკადემიური მოსწრების განაწილების მაჩვენებელს. ხოლო ამავე წესის №5 მუხლი აყალიბებს შეფასების შედეგების საფუძველზე კონკრეტულ ლექტორთან ან კურსთან მიმართებაში სიღრმისეული შეფასების ფორმატს (მაგ., ფოკუს ჯგუფების, სიღრმისეული ინტერვიუების, დაკვირვების და ა.შ. გამოყენებით). პროგრამის ხელმძღვანელი სისტემატურად ეცნობა სტუდენტთა მიერ ყოველი აფილირებული და მოწვეული ლექტორის/კურსის შეფასებას და საჭიროების შემთხვევაში, უზიარებს მათ სტუდენტთა მოსაზრებებს.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური და პროფესიული საქმიანობის ინტერნაციონალიზაციის ხელშემწყობია. პროფესიულ ქსელებში გაწევრიანების მნიშვნელობა პროფესიული/აკადემიური ერთობის უზრუნველყოფის მიზნით ფინანსურადაც მხარდაჭერილია. უნივერსიტეტის ბიუჯეტში ცალკე საბიუჯეტო ხაზი ეთმობა კონფერენციებში მონაწილეობას, კონფერენციების ორგანიზებას და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის საწევრო გადასახადს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საერთაშორისო თანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- საერთაშორისო პროექტებში, კონფერენციებში, კვლევებსა და ღონისძიებებში პერსონალის ჩართულობის მაჩვენებელი;
- აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი;

- სასწავლო პროცესში ჩართული მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

არ იკვეთება

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არ იკვეთება

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

არ იკვეთება

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

არ შეესაბამება

შეფასება

■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა უზრუნველყოფილია საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსით რომელიც რაოდენობრივად და ხარისხობრივად უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. ბიბლიოთეკაში განთავსებულია სილაბუსებით განსაზღვრული სახელმძღვანელო და მეთოდური ლიტერატურა. შეფასებისას საკრედიტაციო პროგრამის სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალის დიდი ნაწილი მოვიძიეთ. ხოლო მასალა, რომელიც ვერ მოვიძიეთ საბიბლიოთეკო რესურსებში, ინტერვიუერების ინფორმაციით, გამოწერილია და საგაზაფხულო სემესტრის დასრულებამდე ელოდებიან. ზოგადად, ინტერვიუერების ინფორმაციით, საბიბლიოთეკო რესურსის განახლება მუდმივად ხორციელდება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში. ჩვენთვის მოწოდებულ *ფაკულტეტის ბიუჯეტში* ცალკე საბიუჯეტო ხაზი საბიბლიოთეკო

რესურსების განახლებას არ ეთმობა, თუმცა ინტერვიუერების თქმით, უნივერსიტეტის საერთო ბიუჯეტში გათვალისწინებულია საბიბლიოთეკო ფონდის რესურსების ზრდა, რაც საჭირო ლიტერატურით უზრუნველყოფს სოციალური მუშაობის სადოქტორო პროგრამასაც.

სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია უახლესი სამეცნიერო პერიოდული გამოცემები, საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო და მონაცემთა ბაზები (LexisNexis, EBSCO და სხვა), რომლებიც მათ საშუალებას აძლევს გაეცნონ შესაბამისი მიმართულების/დარგის უახლეს სამეცნიერო მონაცემებს პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსი;
- საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე წვდომა;
- ბიბლიოთეკაში არსებული მასალის შესაბამისობა საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებულ ძირითად ლიტერატურასთან;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

არ იკვეთება

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არ იკვეთება

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

არ იკვეთება

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

არ შეესაბამება

შეფასება

■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სოციალური მუშაობის სადოქტორო პროგრამის ბიუჯეტის ფორმირების დოკუმენტის მიხედვით, პროგრამის განხორციელება ეკონომიკურად მიღწევადია, რადგან უნივერისიტეტი საკუთარი ბიუჯეტითა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფს პროგრამის გრძელვადიან მხარდაჭერას. წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამის საერთო ბიუჯეტის (20,100 ლარი) მნიშვნელოვანი წილი მოდის შრომის ანაზღაურებაზე (14,600 ლ), ხოლო დანარჩენი ხარჯები (5,500 ლარი) პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადმინისტრირების, გადასახადების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნასა და მოვლა-შენახვაზე. პროგრამის განხორციელება ასევე მხარდაჭერილია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის კვლევითი გრანტით (საგრანტო ხელშეკრულება #FR 17_31). ამასთან, სადოქტორო პროგრამების განხორციელებისათვის ძირითადი პერსონალის და ინფრასტრუქტურული ხარჯები მკვეთრად არ იზრდება, რაც უნივერსიტეტს პროგრამის გრძელვადიანი ფინანსური მდგრადობის პროგნოზის გაკეთების საშუალებას აძლევს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დაფინანსების წყაროები;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- ფაკულტეტის ბიუჯეტი;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

არ იკვეთება

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არ იკვეთება

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

არ იკვეთება

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

არ შეესაბამება

შეფასება
■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვაში, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებაში და შეფასების განხორციელების პროცესში აქტიურად მონაწილეობენ და თანამშრომლობენ პროგრამის ხელმძღვანელი და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. თვითშეფასების ანგარიშს ქმნის პროგრამის ხელმძღვანელი, ძლიერი და სუსტი მხარების იდენტიფიცირების შედეგად გამოყოფს ცვლილებების პაკეტს, და წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს.

სოციალური მუშაობის სადოქტორო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის შექმნაში მონაწილეობდნენ პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ფაკულტეტის დეკანი. თვითშეფასების ანგარიშის შექმნის პროცესში გაითვალისწინეს დამსაქმებლების, გარე შემფასებლებისა და დოქტორანტების უკუკავშირი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში; • ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება; • შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია; • დოქტორანტების ფოკუს ჯგუფის ანგარიში; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: არ იკვეთება
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არ იკვეთება
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): არ იკვეთება
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) არ შეესაბამება
შეფასება ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, პროგრამის ხელმძღვანელმა და სამუშაო ჯგუფმა პროგრამის გასავითარებლად გამოიყენეს გარე შეფასების ორი მექანიზმი: პოტენციურ დამსაქმებელთა კვლევა და პროგრამის შეფასება ორი უმაღლესი სასწავლებლის (თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჩეხეთის პალაცკის უნივერსიტეტი) სოციალური მუშაობის მიმართულებით მომუშავე პროფესორთა მიერ.

გარე შემფასებელთა რეკომენდაციების საფუძველზე განხორციელდა რამდენიმე ცვლილება: ცვლილებები შევიდა პროგრამის კურიკულუმში, გაძლიერდა პროგრამის კვლევითი კომპონენტი, შეიცვალა პროგრამაზე მიღების წინაპირობა, გაიზარდა აკადემიური პერსონალის რაოდენობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებლის კვლევის ანალიზის ამსახველი დოკუმენტი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

არ იკვეთება

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არ იკვეთება

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

არ იკვეთება

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

არ შეესაბამება

შეფასება

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტის მიერ შიდა ხარისხის უზრუნველყოფა ეფუძნება პრინციპს - ,,დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე.'' ხარისხის კვლევის საფუძველზე გამოიყოფა სუსტი და ძლიერი მხარეები, შემუშავდება გაუმჯობესების სტრატეგიები, ხორციელდება ინტერვენციები. შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ახორციელებს გეგმიურ და საჭიროებაზე დაფუძნებულ კვლევებს/შეფასებებს. სისტემური კვლევები პროგრამის განვითარების დინამიკაზე დაკვირვების შესაძლებლობას იძლევა, ხოლო საჭიროებაზე დაფუძნებული კვლევების სამიზნე კონკრეტული პრობლემაა, კვლევის შედეგად კი პრობლემის გადაფასება და მიზნობრივი ინტერვენციის დაგეგმვაა შესაძლებელი. ყოველივე ეს ასახულია უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფციაში.

როგორც თვითშეფასების ანგარიშიდან და სტუდენტების გამოკითხვიდან ჩანს, რეგულარულად ხორციელდება სტუდენტების პროგრამით კმაყოფილების კვლევა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვა კმაყოფილების/დასაქმების შესახებ. ამასთან, შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ორიენტირებულია ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის კმაყოფილების კვლევაზე. მიმდინარეობს დამსაქმებლის და პარტნიორი ორგანიზაციების შეფასებაც.

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტი გეგმავს კოლეგიალური შეფასების მექანიზმის დანერგვას, შემუშავებულია შესაბამისი ინსტრუმენტები, რაც სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებაზე მიმართული კიდევ ერთი ბერკეტია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სადოქტორო საფეხურის კურსდამთავრებულ და მოქმედ სტუდენტთა გამოკითხვა;
- სასწავლო პროცესის კოლეგიალური შეფასების ინსტრუმენტები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

არ იკვეთება

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არ იკვეთება

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

არ იკვეთება

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

არ შეესაბამება

შეფასება

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

- სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:

- სოციალური მუშაობის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 35 გვერდი

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე:
სახელი, გვარი, ხელმოწერა

იაგო კაჭკაჭიშვილი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ი:

ნინო შატბერაშვილი

ჯინა შოგირაძე